გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი#1

25 იანვარი 2022 წელი

ქ.ბაღდათი

15.00სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი კოტორეიშვილი

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:

შადიმან გორგოძე
მურად ბურჯანაძე
გია სახამბერიძე
კახა კოხოძე
ა.ა.ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების“ დირექტორი: ამბერკი რობაქიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სამსახურის წარმომადგენელი: ქეთი კარაკაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2021 წლის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს. გიორგი კოტორეიშვილი

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

მომხს. ქეთი კარკაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კოტორეიშვილმა წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2021 წლის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

კომისიის წევრი: გიორგი კოტორეიშვილმა წარმოადგინა ანგარიში ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის 2021 წლის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ, მან განაცახადა, რომ კომისიას 2021 წლის პერიოდში ჩატარებული აქვს გარემოს დაცვის ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიას 11 სხდომა, განხილულია სულ 15 საკითხი (მათ შორის ერთი გაერთიანებული სხდომა)

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი კოტორეიშვილმა კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2021 წლის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ მიიღოს კომისიამ წარმოდგენილი საკითხი

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2021 წლის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ მიიღო კომისიამ წარმოდგენილი საკითხი

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2 კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კოტორეიშვილმა წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ საკითხი მიიღოს კომისიამ აღნიშნული საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე

კომისიის წევრი: მურად ბურჯანაძემ კითხვით მიმართა ქეთი კარკაძეს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის რამდენია დადგენილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სამსახურის წარმომადგენელი: ქეთი კარაკაძემ უპასუხა მურად ბურჯანაძეს, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს ქ. ბაღდათისათვის ფასის 50%-ის ოდენობით და შეადგინოს 6,75 ლარი (13,5-ის 50%)

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ საკითხი მიიღო კომისიამ. აღნიშნული საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით საკითხი ამოიწურა

სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი კოტორეიშვილი